NATIONAL CENTER FOR
EDUCATIONAL QUALITY
ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

"ბიზნესის ადმინისტრირება" ერთობლივი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

კავკასიის უნივერსიტეტი - რენის ბიზნესის სკოლა

შეფასების თარიღ(ებ)ი

2024 წლის 27 ნოემბერი

დასკვნის წარდგენის თარიღი

21/02/2025

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	1. შპს კავკასიის უნივერსიტეტი 2. რენის ბიზნესის სკოლა, საფრანგეთი, კერძო ბიზნეს სკოლა École Supérieure de Commerce
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	1. 205050567 2. 3783271400014 საფრანგეთის სავაჭრო რეესტრის თანახმად
დაწესებულების სახე	1. უნივერსიტეტი 2. ბიზნესის სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	კაროლინა ტიმკო, მოლდოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი, განათლების და კვლევის ხარისხის უზრუნველყოფის ეროვნული სააგენტო, მოლდოვა
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	რევაზ გერაძე, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო.
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	დავით სიხარულიძე, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო.
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	სანდრო ტაბატაძე, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ნათია დაღელიშვილი, შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ვაჟა კელიხაშვილი, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი, საქართველო.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება (ქართულად)	ბიზნესის ადმინისტრირების (რენის ბიზნესის სკოლასთან, საფრანგეთი) ერთობლივი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება (ინგლისურად)	Joint Bachelor Programme (with Rennes School of Business, France) in Business Administration
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	მენეჯმენტის ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/ საგნების/ საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება	არ ეხება
სწავლების ენა	ინგლისური
ECTS კრედიტების რაოდენობა	184
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული, გადაწყვეტილება N 444229, 15.04.2022
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო - შემოქმედებითი ან / და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური / შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების / პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	-

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

შპს კავკასიის უნივერსიტეტში აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი "ბიზნესის ადმინისტრირების" ერთობლივი საბაკალავრო პროგრამის შესაფასებლად განხორციელდა; პროგრამა 184 კრედიტს მოიცავს. პროგრამა შემუშავდა რენის ბიზნესის სკოლასთან (საფრანგეთი) თანამშრომლობით. პროგრამა შეიქმნა 2021 წელს, აკრედიტაცია მიენიჭა 2022 წელს და პირველი მიღება განხორციელდა 2022-2023 აკადემიურ წელს.

"ბიზნესის ადმინისტრირების" ერთობლივი საბაკალავრო პროგრამა მოიცავს 184 კრედიტს, რომელიც განაწილებულია შემდეგნაირად - 60 კრედიტი განსაზღვრულია პირველი სემესტრისთვის, 60 კრედიტი მეორე სემესტრისთვის და 64 კრედიტი მესამე წლისთვის. პროგრამის ფარგლებში კრედიტები განაწილებულია შემდეგნაირად: 160 კრედიტი განსაზღვრულია სავალდებულო/ძირითადი საგანმანათლებლო კურსებისთვის, ხოლო 24 კრედიტი არჩევითი კურსებისთვის. პროგრამის ხანგრძლივობა - სამი წელი (6 სემესტრი). ბოლო სემესტრის განმავლობაში სტუდენტები მუშაობენ საბაკალავრო ნაშრომზე, რომელიც 8 კვირიანი სტაჟირების პარალელურად მიმდინარეობს.

პროგრამა სტრუქტურულად დაყოფილია 2 + 1 სწავლების მოდელზე, რაც გულისხმობს პირველი ორი აკადემიური წლის განმავლობაში კავკასიის ბიზნესის სკოლაში სწავლას და მესამე წელს სწავლის გაგრძელებას რენის ბიზნესის სკოლაში.

პროგრამა ხორციელდება კავკასიის უნივერსიტეტის კავკასიის ბიზნესის სკოლაში, მისამართზე: პაატა სააკაძის ქ. 1, თბილისი 0102, საქართველო და რენის ბიზნესის სკოლაში, მისამართზე: 2 Rue Robert d'Arbrissel, Rennes 35065, საფრანგეთი.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტის განხორციელებამდე, ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა მიიღეს წვდომა OneDrive - ის დისკზე, რომელზეც ქართულ და ინგლისურ ენაზე განთავსებული იყო თვითშეფასების ანგარიში და თანდართული დოკუმენტაცია (პროგრამების დეტალური მახასიათებლები, მათ შორის სასწავლო გეგმები, სასწავლო კურსების სილაბუსები, განმახორციელებელი პერსონალის სიები და პირადი მონაცემები, ინფორმაცია სწავლის შედეგების, შეფასების, ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების შესახებ და ა.შ.).

შპს კავკასიის უნივერსიტეტში აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი 2024 წლის 27 ნოემბერს წინასწარ შემუშავებული დღის წესრიგის შესაბამისად განახორციელდა. ექსპერტთა ჯგუფმა გასაუბრებები შემდეგ ჯგუფებთან ჩაატარა: ადმინისტრაციული პერსონალი, თვითშეფასების გუნდი, ყველა პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი, პროგრამების ხელმძღვანელები, ყველა პროგრამის სტუდენტები და კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლები. ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფმა მოითხოვა დამატებითი დოკუმენტები, რომლებიც დაწესებულებამ მოგვიანებით წარმოადგინა.

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა უნივერსიტეტის შენობა და გაეცნო სასწავლო პროცესისთვის განკუთვნილ მატერიალურ - ტექნიკურ ბაზას, მათ შორის ბიბლიოთეკას და სხვა ობიექტებს.

შეფასების დასასრულს ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს წინასწარი მიგნებების წარსადგენად. ვიზიტი მიმდინარეობდა კოლეგიალურ და კონსტრუქციულ გარემოში.

ექსპერტთა ჯგუფი გულწრფელ მადლობას მოახსენებს ყველა მონაწილეს თანამშრომლობისთვის და დისკუსიებში ჩართულობისთვის.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

სტანდარტი 1: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 2: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 3: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 4: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 5: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- **რეკომენდაციები**

- 1.2.1 რეკომენდებულია, გადაიხედოს მე-2 და მე-5 სწავლის შედეგები უფრო სპეციფიკური დეტალების გასათვალისწინებლად, იმისათვის, რომ მკაფიოდ განისაზღვროს მათი გაზომვის მექანიზმები.
- 1.4.1 რეკომენდებულია, პროგრამას სავალდებულო მოთხოვნის სახით დაემატოს "მენეჯმენტის საფუძვლები" და განისაზღვროს სპეციალიზებული მენეჯმენტის კურსების წინაპირობად.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

○ 1.3.1 სასურველია, სწავლის შედეგების მიღწევის დონეები განაწილდეს ლოგიკური თანმიმდევრობით: გაცნობა, გაღრმავება და განმტკიცება. აღნიშნული მიდგომა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი სასწავლო კურსებისთვის, სადაც ამჟამად არ არის დაცული პროგრესული სწავლების პრინციპი. სამივე სასწავლო წლის განმავლობაში კურსების განაწილებამ უნდა უზრუნველყოს ცოდნის ეტაპობრივი გაღრმავება და კომპეტენციების უწყვეტი განვითარება. აღნიშნული ხელს შეუწყობს სწავლის შედეგების უფრო ეფექტურ მიღწევას და სტუდენტების აკადემიური განვითარების ლოგიკურ პროგრესიას.

○ 1.5.1 სასურველია, სასწავლო პროგრამის შესაბამისად შემუშავდეს სილაბუსების ერთნაირი სტრუქტურა და შეფასების სისტემა.

○ 1.5.2 სასურველია, გადაიხედოს ყველა საგანი, დაემატოს უფრო აქტუალური ლიტერატურა და დამატებითი საკითხავი მასალა იმ სტუდენტებისთვის, რომლებსაც სურთ უფრო სიღრმისეულად შეისწავლონ საგანი.

○ 2.2.1 სასურველია, კავკასიის უნივერსიტეტი რეგულარულად იღებდეს განახლებულ ინფორმაციას რენის ბიზნესის სკოლის სტაჟირების განმახორციელებელი კომპანიების ჩამონათვალის და სტაჟირებაში მონაწილე სტუდენტების რაოდენობის შესახებ.

○ 5.1.1 ვინაიდან საბაკალავრო პროგრამა წარმოადგენს ერთობლივ ძალისხმევას, სასურველია, რომ რენის უნივერსიტეტის წარმომადგენლები იყვნენ ერთიანი და დამტკიცებული თვითშეფასების გუნდის განუყოფელი წევრები.

○ 5.2.1 სასურველია, კავკასიის უნივერსიტეტმა შეიმუშაოს გარე კოლეგიალური შეფასების კონკრეტული შაბლონი თანმიმდევრული და შესადარებელი გარე ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**
- გაზიარებული ხარისხის კულტურა და ბიზნეს განათლების მიმწოდებლის რეპუტაცია.
- სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომა და მჭიდრო კავშირები კურსდამთავრებულებთან.

- **ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარებისარგუმენტაციის თაობაზე**

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა კავკასიის უნივერსიტეტის არგუმენტირებული პოზიცია "ბიზნესის ადმინისტრირების" ერთობლივი საბაკალავრო პროგრამის (რენის ბიზნესის სკოლასთან ერთად, საფრანგეთი) შეფასების შედეგებთან დაკავშირებით და გადაწყვიტა შეინარჩუნოს დასკვნაში წარმოდგენილი პოზიცია.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

რენის ბიზნესის სკოლასთან (საფრანგეთი) თანამშრომლობით შემუშავებული "ბიზნესის ადმინისტრირების" ერთობლივი საბაკალავრო პროგრამა შეიქმნა 2021 - 2022 წლებში და აკრედიტაცია 2022 წელს მიენიჭა. პროგრამის პირველი აკრედიტაციის შემდეგ განხორციელდა შემდეგი ცვლილებები:

- "გაყიდვების მენეჯმენტის" სასწავლო კურსი ჩანაცვლდა "ლოგისტიკის და მიწოდების ჯაჭვის მართვის შესავალი" კურსით (5 კრედიტი);
- მესამე აკადემიურ წელს პროგრამას დაემატა შემდეგი კურსები: "საერთაშორისო ბიზნეს გარემო" (4 კრედიტი) და "კვლევის მეთოდები საბაკალავრო ნაშრომისთვის" (2 კრედიტი);
- "ბიზნეს ეთიკის" სასწავლო კურსი ჩანაცვლდა "გააზრებული გადაწყვეტილების მიღების" კურსით (4 კრედიტი);
- გადაიხედა საბაკალავრო ნაშრომის კურსისთვის კრედიტების განაწილება და 10 კრედიტის ნაცვლად განისაზღვრა 6 კრედიტით;
- მესამე წელს ფრანგული ენის შესწავლისთვის კრედიტები განისაზღვრა 2-2 კრედიტით;
- "მერჩენდაიზინგის" სასწავლო კურსი ჩანაცვლდა "ბრენდის მენეჯმენტის და მდგრადობის" კურსით (4 კრედიტი);
- "მარკეტინგის მეტრიკების" სასწავლო კურსი ჩანაცვლდა "მომხმარებლის ქცევის" კურსით (4 კრედიტი);
- შეიცვალა "მეწარმეობის და ინოვაციების მენეჯმენტის საფუძვლების" კურსის სახელწოდება როგორც "სამეწარმეო აზროვნება და ინოვაციები".

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ- ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში

"ბიზნესის ადმინისტრირების" ერთობლივი საბაკალავრო პროგრამის (რენის ბიზნესის სკოლასთან ერთად, საფრანგეთი) მიზნები მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული ოთხი ძირითადი მიმართულებით.

1. თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარები: პირველი მიზანი ყურადღებას ამახვილებს ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლებში და ფუნქციურ სფეროებში სტუდენტების ყოვლისმომცველი თეორიული ცოდნით და პრაქტიკული უნარებით აღჭურვაზე. ის ეფექტურად განსაზღვრავს ცოდნის და უნარების შეძენის მასშტაბს, ამავდროულად ინარჩუნებს თეორიულ გაგებას და პრაქტიკულ გამოყენებას შორის ბალანსს.

2. მენეჯერული უნარების განვითარება: მეორე მიზანი ორიენტირებულია საწყისი და საშუალო დონის მენეჯერული პოზიციებისთვის საჭირო უნარების განვითარებაზე. ის მკაფიოდ განსაზღვრავს დასაქმების სამიზნე დონეებს და ხაზს უსვამს კარიერული შესაძლებლობების პოტენციალს როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ორგანიზაციებში. მიზანი ასევე ხაზს უსვამს სამუშაოს ეფექტური შესრულების მიღწევას, როგორც გაზომვად შედეგს.

3. სამეწარმეო უნარები და ცოდნა: მესამე მიზანი მიმართულია სამეწარმეო საქმიანობისთვის საჭირო თეორიული ცოდნის და პრაქტიკული უნარების განვითარებაზე. აღნიშნული მიზანი განსაკუთრებით რელევანტურია, ვინაიდან ეხება თვითდასაქმების და ბიზნესის შექმნის უნარების განვითარების კრიტიკულ საჭიროებას, რაც აუცილებელია დღევანდელ შრომის ბაზარზე.

4. ღირებულებები და ეთიკური კომპეტენცია: მეოთხე მიზანი მიმართულია იმ ღირებულებების განვითარებაზე, რომლებიც სტუდენტებს აყალიბებენ კონკურენტუნარიან, მაღალკვალიფიციურ და ეთიკურად პასუხისმგებელ პროფესიონალებად. ეთიკურ პასუხისმგებლობაზე აღნიშნული ორიენტაცია სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სოციალური პასუხისმგებლობის ფართო ჩარჩოში.

აღნიშნული მიზნების რეალისტურობა და მიზანშეწონილობა გამყარებულია პროგრამისთვის განსაზღვრული მნიშვნელოვანი რესურსებით. აკადემიური პერსონალი შედგება მაღალკვალიფიციური პროფესიონალებისგან, რომლებსაც დარგის ექსპერტობის გამოცდილებასთან ერთად გააჩნიათ ფართო

ადგილობრივი და საერთაშორისო გამოცდილება. პროგრამის მატერიალურ - ტექნიკური ინფრასტრუქტურა, მათ შორის თანამედროვე ობიექტები, მოწინავე ტექნიკური აღჭურვილობა და ვრცელი ბიბლიოთეკა, კიდევ უფრო მეტად უწყობს ხელს მიზნების მიღწევას.

გარდა ამისა, პროგრამა სარგებლობს ფართო პარტნიორული ქსელით, რომელიც მოიცავს რენის ბიზნესის სკოლას, როგორც საერთაშორისო აკადემიურ პარტნიორს, ასევე მრავალ ბიზნეს ორგანიზაციას, სამთავრობო უწყებებს და პროფესიულ ასოციაციებს. აღნიშნული თანამშრომლობითი ქსელი მნიშვნელოვნად აძლიერებს პროგრამის შესაძლებლობას მიაღწიოს დასახულ მიზნებს.

პროგრამის მიზნების მიღწევა მხარდაჭერილია კარგად ჩამოყალიბებული სასწავლო გეგმით (პროგრამის სტრუქტურის უპირატესობები და ნაკლოვანებები დეტალურად არის აღწერილი 1.4 კომპონენტში), რომელიც შემუშავებულია პროგრესული სწავლების პრინციპით და უზრუნველყოფს თეორიული ცოდნის და პრაქტიკული გამოყენების ბალანსს. სასწავლო გეგმა კიდევ უფრო გამდიდრებულია მრავალფეროვანი სწავლების მეთოდოლოგიებით, მათ შორის ინტერაქტიული სწავლებით და პროექტზე დაფუძნებული მიდგომებით, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს პროგრამის მიზნების მიღწევას.

პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები - როგორიცაა ყოვლისმომცველი მონიტორინგის სისტემა, რეგულარული შეფასებები და მყარი უკუკავშირის პროცესები - ხელს უწყობს უწყვეტ გაუმჯობესებას, რაც აძლიერებს დასახული მიზნების მიღწევის ეფექტურობას.

პროგრამის სამწლიანი ხანგრძლივობა, 184 კრედიტის რაციონალური განაწილება და ინგლისური ენის, როგორც სწავლების ენის ენობრივი მხარდაჭერის უზრუნველყოფა ხაზს უსვამს ხელმისაწვდომობას და გლობალურ ორიენტაციას. გარდა ამისა, საერთაშორისო მობილობის შესაძლებლობების არსებობა აძლიერებს პროგრამის უნარს მიაღწიოს თავის მიზნებს და შეესაბამებოდეს გლობალურ აკადემიურ სტანდარტებს.

შრომის ბაზართან შესაბამისობა:

უნივერსიტეტის შრომის ბაზრის კვლევა ხაზს უსვამს მენეჯერებზე მნიშვნელოვან მოთხოვნას, რაც შეადგენს სამუშაო ძალის 17% - ს და 2022 წელს გაიზარდა 8% - ით. აღნიშნულ სფეროში მენეჯერების საშუალო ხელფასი შეადგენს 2280 ლარს, რაც ყველაზე მაღალიანაზღაურებაა შესწავლილ პროფესიებს შორის.

გასული წლის განმავლობაში სხვადასხვა სექტორში გამოცხადდა 10149 მენეჯერული ვაკანსია, რომელთაგან 12% დარჩა შეუვსებელი, განსაკუთრებით გაყიდვების, მარკეტინგის და ადმინისტრაციულ პოზიციებზე. პროგნოზები მიუთითებს მენეჯერული პოზიციების 9% - იან ზრდას მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში, რაც დემონსტრირებს აღნიშნულ სფეროში კვალიფიციურ პერსონალზე მზარდ მოთხოვნას.

საგანმანათლებლო თვალსაზრისით, ორგანიზაციების 40% უფროსი და საშუალო დონის მენეჯერული პოზიციებისთვის ითხოვს მაგისტრის ხარისხს შესაბამისი სამუშაო გამოცდილებით, ხოლო 57% პრიორიტეტს ანიჭებს უმაღლესი განათლების მქონე კანდიდატებს. ბიზნესის ადმინისტრირება გამოირჩევა როგორც ერთ - ერთი პრიორიტეტული დისციპლინა, რომელიც შეადგენს სასურველი სპეციალობების 14% - ს.

უნარების თვალსაზრისით, დამსაქმებლების 74% მოითხოვს ინგლისური ენის ცოდნას, 83% აფასებს კომპიუტერულ წიგნიერებას და 92% პრიორიტეტს ანიჭებს კომუნიკაციის და სოციალურ - ემოციურ კომპეტენციებს.

კვლევა ასევე ხაზს უსვამს შრომის ბაზრის მზარდ საერთაშორისო განზომილებას, რომელიც ხასიათდება უცხოელი მეწარმეების რაოდენობის ზრდით, საერთაშორისო კომპანიების მზარდი არსებობით და უცხოელი სტუდენტების მზარდი რაოდენობით.

აღნიშნული მიგნებები ადასტურებს, რომ "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო პროგრამა კარგად შეესაბამება შრომის ბაზრის მოთხოვნებს, განსაკუთრებით მენეჯერული უნარების განვითარების და კურსდამთავრებულების მომზადების მიმართულებით დინამიურ და კონკურენტულ პროფესიულ გარემოში წარმატების მისაღწევად.

დამსაქმებლების გამოკითხვა ხაზს უსვამს ძირითად მიგნებებს ორგანიზაციების მიერ მოთხოვნილი უნარების და კომპეტენციების თვალსაზრისით. დამსაქმებლები პრიორიტეტს ანიჭებენ პოზიციისთვის შესაბამის თეორიულ ცოდნას, პრაქტიკულ გამოცდილებას, მოქნილ უნარებს, ინგლისური ენის ცოდნას და კომპიუტერულ უნარებს, განსაკუთრებით Excel-ში მუშაობის გამოცდილებას.

დასაქმების პროცესის ერთ - ერთ საყურადღებო ასპექტს წარმოადგენს, რომ საწყისი დონის პოზიციებზე პირდაპირი გზით დასაქმება ნაკლებად არის გავრცელებული. კომპანიები ხშირ შემთხვევაში უპირატესობას ანიჭებენ სტაჟირების პროგრამებს, სადაც შერჩევის პროცესი ჩვეულებრივ ითვალისწინებს ტესტირებას სპეციფიკური ცოდნის, ანალიტიკური უნარების, უცხო ენის ცოდნის დონის და მოქნილი უნარების შესაფასებლად.

კავკასიის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებს შორის დამსაქმებლები გამოყოფენ შემდეგ რამდენიმე ძლიერ მხარეს: აღნიშნული მოიცავს დისციპლინას, ტექნიკურ უნარებს და მყარ თეორიულ ცოდნას, ასევე მაღალ მოტივაციას, რომელმაც 10 ქულიდან შეფასებულია 9.2 ქულით და სამუშაო ეთიკას, რომელიც შეფასდა 9.0 ქულით. აღნიშნული დადებითი მახასიათებლების მიუხედავად, კვლავ რჩება გარკვეული გამოწვევები. აღნიშნული გამოწვევები მოიცავს გუნდური მუშაობის და კომუნიკაციის უნარებს, პრაქტიკულ უნარებს (10 ქულიდან შეფასებულია 7.7 ქულით), Excel - ის ცოდნას და უცხო ენის უნარების პრაქტიკულ გამოყენებას.

აღნიშნული გამოწვევების დასაძლევად და პროგრამის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობის გასაუმჯობესებლად, დამსაქმებლები გასცემენ რჩევას ორიენტაციის გაძლიერების თაობაზე ისეთი მიმართულებებით, როგორიცაა მენეჯმენტი, მარკეტინგი, ფინანსები, ციფრული უნარები, სოციალური მეცნიერებები და მათემატიკა, აქცენტით მათ პრაქტიკულ გამოყენებაზე.

დამსაქმებლები მაღალ დონეზე გამოხატავენ კმაყოფილებას "ბიზნესის ადმინისტრირების" პროგრამით, საერთო კმაყოფილების 10 ქულიდან ანიჭებენ 9.7 ქულას და სხვებისთვის პროგრამის რეკომენდირების თვალსაზრისით 10-დან 8.6 ქულას. ასევე, დადებითად შეფასდა კარიერული განვითარების სამსახურიც. თუმცა, დამსაქმებლების რჩევას წარმოადგენს ვაკანსიების ერთიანი ონლაინ პლატფორმის შექმნა სტუდენტებს და დამსაქმებლებს შორის კომუნიკაციის გასაუმჯობესებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;

- "ბიზნესის ადმინისტრირების" ერთობლივი საბაკალავრო პროგრამა (რენის ბიზნესი სკოლასთან, საფრანგეთი);
- უნივერსიტეტის მისია;
- შრომის ბაზრის კვლევა;
- გასაუბრების შედეგები.

რეკომენდაციები: არ ეხება

რჩევები: არ ეხება

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1.1 პროგრამის მიზნები	**x**	☐	☐	☐

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები:

➢ პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.

➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/ და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების ანალიზი დემონსტრირებს მათ შორის მნიშვნელოვან შესაბამისობას. პირველი მიზანი, რომელიც ორიენტირებულია თეორიულ ცოდნაზე და პრაქტიკულ უნარებზე, ეფექტურად არის ასახული სწავლის შედეგებში, განსაკუთრებით სტუდენტების მიერ თეორიების, ცნებების და ანალიტიკური უნარების გაგების თვალსაზრისით. მეორე მიზანი, რომელიც ეხება მენეჯერული უნარების განვითარებას, ნათლად არის ასახული სწავლის შედეგებში, რომლებიც დაკავშირებულია მენეჯერული ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებასთან და კომუნიკაციის უნარებთან.

თუმცა, სამეწარმეო უნარების განვითარების მიზანი მხოლოდ ნაწილობრივ არის ასახული სწავლის შედეგებში, ძირითადად სტრატეგიული და ანალიტიკური უნარების მეშვეობით. აღნიშნული შესაბამისობის გასაუმჯობესებლად, რეკომენდებულია, სწავლის შედეგებში უფრო მკაფიოდ განისაზღვროს სამეწარმეო კომპეტენციები. მეოთხე მიზანი, რომელიც ორიენტირებულია ღირებულებებზე და ეთიკაზე, სრულად არის გათვალისწინებული სწავლის შედეგში, განსაკუთრებით გლობალური მოქალაქეობის, სოციალური პასუხისმგებლობის და ეთიკური ქცევის ხაზგასმით. მთლიანობაში, მიუხედავად იმისა რომ სწავლის შედეგები ადეკვატურად ასახავს პროგრამის მიზნებს, იკვეთება სამეწარმეო კომპონენტის გაძლიერების საჭიროება.

პროგრამის სწავლის შედეგების ანალიზი:

- პროგრამის სწავლის შედეგი 1 - "ავლენს და აღწერს...მსჯელობს" გაზომვადია ისეთი შეფასებების მეშვეობით, როგორიცაა ტესტები, პრეზენტაციები და წერითი დავალებები. ის მიღწევადი და რეალისტურია საბაკალავრო დონისთვის.
- პროგრამის სწავლის შედეგი 2 - "იყენებს პრაქტიკაში...მონაწილეობს" საჭიროებს შემდგომ დაზუსტებას. ტერმინი "მონაწილეობა" არ არის საკმარისად გაზომვადი. სასარგებლო იქნება დაზუსტდეს სტუდენტისგან მოთხოვნილი მონაწილეობის დონე და ხასიათი.
- პროგრამის სწავლის შედეგი 3 - "აანალიზებს... *ავლენს...* აკეთებს დასკვნებს" კარგად არის სტრუქტურირებული და გაზომვადია კონკრეტული დავალებების მეშვეობით. ის მიღწევადი და რეალისტურია საბაკალავრო სტუდენტებისთვის.
- პროგრამის სწავლის შედეგი 4 - "ახორციელებს ეფექტურ კომუნიკაციას" მკაფიოდ გაზომვადია განსაზღვრული დავალებების მეშვეობით და შეეფერება საბაკალავრო დონეს.
- პროგრამის სწავლის შედეგი 5 - "აღწერს... იყენებს პრაქტიკულ საქმიანობაში" საჭიროებს შემდგომ დაზუსტებას. მაშინ როცა გაზომვადია აღწერითი კომპონენტი, უფრო მკაფიოდ უნდა განისაზღვროს თუ როგორ განხორციელდება პრაქტიკული გამოყენების ასპექტის შეფასება.

გარდა ამისა, ბუნდოვანია პროგრამაში გლობალური მოქალაქეობის გაზომვის და მიღწევის მექანიზმები. სწავლის შედეგების მონიტორინგის პროცესებს აკლია გლობალური მოქალაქეობის შეფასების კონკრეტული ინდიკატორები. აღნიშნული საკითხის გადასაჭრელად, აუცილებელია გადაიხედოს სწავლის შედეგები უფრო ზუსტი კრიტერიუმების გასათვალისწინებლად, განსაკუთრებით მე - 2 და მე - 5 სწავლის შედეგებში, იმისათვის, რომ კარგად განისაზღვროს მათი გაზომვის მექანიზმები.

ჩამოთვლილი სწავლის შედეგები შეესაბამება კვალიფიკაციის დონეს, დეტალური სფეროს აღმწერებს და მენეჯმენტის ბაკალავრის მისანიჭებელ კვალიფიკაციას. სწავლის შედეგები ასევე შეესაბამება დარგობრივ მახასიათებლებს, რომლებიც შემუშავებულია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს საფუძველზე.

პროგრამის შეფასება მიუთითებს, რომ ის კარგად შეესაბამება კურსდამთავრებულების პროფესიულ სფეროებში დასაქმების მოთხოვნებს და უზრუნველყოფს მყარ საფუძველს სწავლის გასაგრძელებლად შემდეგ აკადემიურ დონეზე. პროგრამა მოიცავს სხვადასხვა პროფილის და ინდუსტრიის კომპანიებში, საკონსულტაციო სექტორში, საბანკო და არასაბანკო ფინანსურ ინსტიტუტებში, სარეკლამო და მარკეტინგული კვლევის ორგანიზაციებში, სამთავრობო და არასამთავრობო სექტორში დასაქმების ფართო შესაძლებლობებს.

პროგრამის შინაარსი სრულად აკმაყოფილებს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებს ისეთი სასწავლო კურსების შეთავაზებით, რომლებიც მოიცავს ყველა ფუნდამენტურ ბიზნეს ფუნქციას, ითვალისწინებს პრაქტიკულ და თეორიულ ცოდნას და ხელს უწყობს თანამედროვე ბიზნეს უნარების განვითარებას. აღსანიშნავია, რომ კომპონენტები მოიცავენ ციფრულ მარკეტინგს, ბიზნეს ანალიტიკას, საერთაშორისო ბიზნესს და პროფესიული ენის სწავლებას.

პროგრამა ქმნის სამაგისტრო დონეზე სწავლის გაგრძელების მყარ საფუძველს ძლიერი თეორიული ცოდნის უზრუნველყოფით, საბაკალავრო ნაშრომის მეშვეობით კვლევითი კომპეტენციების განვითარებით და ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების უნარების ჩამოყალიბებით.

შრომის ბაზრის კონკრეტული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, პროგრამა აქცენტს აკეთებს მენეჯერული უნარების განვითარებაზე, პრაქტიკული გამოცდილების შეძენაზე, ბიზნეს კომუნიკაციის უნარების გაუმჯობესებაზე და საერთაშორისო ბიზნეს გარემოს სიღრმისეულ გაგებაზე. პროგრამის კურსები, შინაარსი და სწავლების მეთოდოლოგიები მჭიდროდ შეესაბამება დარგის სპეციფიკურ და თანამედროვე ბაზრის მოთხოვნებს.

გასაუბრებებმა გამოავლინა, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები აქტიურად არიან ჩართულნი პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბებაში. განმახორციელებელი გუნდი უზრუნველყოფს ყველა დაინტერესებული მხარისთვის აღნიშნული შედეგების შესახებ ინფორმაციის ეფექტურად მიწოდებას, ხელს უწყობს მათი წვლილის საფუძველზე რეგულარულ განახლებებს და გაუმჯობესებას. აღნიშნული თანამშრომლობითი მიდგომა უზრუნველყოფს დაინტერესებული მხარეების ცვალებად საჭიროებებზე პროგრამის რეაგირებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- "ბიზნესის ადმინისტრირების" ერთობლივი საბაკალავრო პროგრამა (რენის ბიზნესი სკოლასთან, საფრანგეთი);
- უნივერსიტეტის მისია;
- შრომის ბაზრის კვლევა;
- გასაუბრების შედეგები.

რეკომენდაციები:

- 1.2.1 რეკომენდებულია, გადაიხედოს მე-2 და მე-5 სწავლის შედეგები უფრო სპეციფიკური დეტალების გასათვალისწინებლად, იმისათვის, რომ მკაფიოდ განისაზღვროს მათი გაზომვის მექანიზმები.

რჩევები: არ ეხება

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	☐	x	☐	☐

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ხორციელდება პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდების გამოყენებით. პირდაპირი შეფასება მოიცავს პროგრამის სავალდებულო კომპონენტებში სტუდენტების აკადემიური მოსწრების ანალიზს. სწავლის შედეგი მიღწეულად ითვლება, თუ ჯგუფის სტუდენტების მინიმუმ 80% დემონსტრირებს დადებით შედეგს და აღემატება მინიმალური კომპეტენციის ზღვარს.

არაპირდაპირი შეფასება ეყრდნობა ისეთ ინდიკატორებს, როგორიცაა სტუდენტთა ჩარიცხვის ტენდენციები, პროგრამის დასრულების და მობილობის მაჩვენებლები, დასაქმების სტატისტიკა და დაინტერესებული მხარეების გამოკითხვები (სტუდენტები, აკადემიური პერსონალი, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები). აღნიშნული შეფასება ტარდება ყოველწლიურად და ხელს უწყობს პროგრამის უწყვეტ გაუმჯობესებას.

სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგიის დეტალური ანალიზი ავლენს პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების მეთოდების გამოყენების ერთობლიობას. პირდაპირი შეფასების შედეგები განისაზღვრება სხვადასხვა ინსტრუმენტით, მათ შორის ტესტების, პრეზენტაციების და პროექტების შედეგებით, სადაც სტუდენტების მინიმუმ 80% - მა უნდა მიაღწიოს დადებით შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა მოიცავს ხუთ ძირითად სწავლის შედეგს, რომელთაგან თითოეული ფასდება განსაზღვრული კურსების მეშვეობით. კურსები განაწილებულია სამ აკადემიურ წელზე და იყენებს შეფასების სამ დონეს: დაბალი, საშუალო და მაღალი. შეფასების პროცესი სისტემატურად მიმდინარეობს ყოველ სემესტრში, ითვალისწინებს როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ კომპონენტებს და მიჰყვება წინასწარ განსაზღვრულ რუბრიკებს.

თანხვედრა პროგრამის მიზნებს და სწავლის შედეგებს შორის ნათელია, ვინაიდან ყველა შედეგი უკავშირდება მინიმუმ ორ მიზანს. მიზნების და სწავლის შედეგების რუკა დემონსტრირებს მათ თანმიმდევრულობას და კონკრეტული ინდიკატორებით იზომება შედეგების მიღწევა.

თუმცა, სწავლის შედეგების მიღწევის მექანიზმში იკვეთება მეთოდოლოგიური ხარვეზი. კერძოდ, არათანმიმდევრულია სასწავლო კურსების გაცნობის, გაღრმავების და განმტკიცების ლოგიკური პროგრესია. აღნიშნული საკითხი განსაკუთრებით თვალსაჩინოა პირველი სწავლის შედეგის მიღწევის გზაზე, რომელიც მოიცავს შემდეგ კურსებს და მათ შესაბამის დონეებს:

- მიკროეკონომიკის და მაკროეკონომიკის საფუძვლები (გაღრმავების დონე - M);
- მარკეტინგის საფუძვლები (განმტკიცების დონე - H);
- ბიზნეს სტატისტიკა (გაცნობის დონე - L);
- ორგანიზაციული ქცევა (განმტკიცების დონე - H);
- ლოგისტიკის და მიწოდების ჯაჭვის მართვის საფუძვლები (განმტკიცების დონე - H);
- საინფორმაციო სისტემები და ვებ - ოპერაციები (გაღრმავების დონე - M).

კურსების თანმიმდევრობა არღვევს ლოგიკური პროგრესიის პრინციპს. მაგალითად, პროგრამა პირველ სემესტრში იწყება განმტკიცების დონის კურსით (მარკეტინგის საფუძვლები), პირველ და მეორე

სემესტრში გადადის გაღრმავების დონის საგნებზე (მიკროეკონომიკა და მაკროეკონომიკა), შემდეგ მესამე სემესტრში გადადის გაცნობის დონის კურსზე (ბიზნეს სტატისტიკა), სანამ დაუბრუნდება განმტკიცების დონის კურსებს.

სწავლის შედეგების თანმიმდევრული პროგრესიის უზრუნველსაყოფად უნდა გადაიხედოს კურსების თანმიმდევრობა. სტრუქტურა უნდა შეესაბამებოდეს ცოდნის ეტაპობრივად განვითარების პრინციპებს, გაცნობის დონიდან გაღრმავების და განმტკიცების დონეებზე გადასვლით. აღნიშნული კორექტირების განხორციელება აუცილებელია იმისათვის, რომ სტუდენტებმა შეიძინონ ცოდნა თანმიმდევრულად და ეფექტურად.

(შენიშვნა: აღნიშნულ დოკუმენტში L აღნიშნავს გაცნობას, M - გაღრმავებას და H - განმტკიცებას).

მონიტორინგის სისტემა უზრუნველყოფს რეგულარულ დაკვირვებას, განსაზღვრავს შეფასების პერიოდულობას და მოიცავს უკუკავშირის და გაუმჯობესების მექანიზმებს. მთლიანობაში, დოკუმენტი აღწერს კარგად სტრუქტურირებულ სისტემას, რომელიც ხელს უწყობს სწავლის შედეგების ეფექტურ შეფასებას და მონიტორინგს.

გარდა ამისა, ინფრასტრუქტურის დათვალიერებისას, უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა წარმოადგინეს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის ციფრული ვერსია. აღნიშნული სისტემა არის პროგრამის მართვის საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი, რაც უზრუნველყოფს გამჭვირვალობას და სწავლის შედეგების შეფასების პროცესის ეფექტურ მონიტორინგს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- "ბიზნესის ადმინისტრირების" ერთობლივი საბაკალავრო პროგრამა (რენის ბიზნესი სკოლასთან, საფრანგეთი);
- უნივერსიტეტის მისია;
- შრომის ბაზრის კვლევა;
- გასაუბრების შედეგები;
- პროგრამის სწავლის შედეგების რუქა;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი.

რეკომენდაციები: არ ეხება

რჩევები:

- 1.3.1 სასურველია, სწავლის შედეგების მიღწევის დონეები განაწილდეს ლოგიკური თანმიმდევრობით: გაცნობა, გაღრმავება და განმტკიცება. აღნიშნული მიდგომა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი სასწავლო კურსებისთვის, სადაც ამჟამად არ არის დაცული პროგრესული სწავლების პრინციპი. სამივე სასწავლო წლის განმავლობაში კურსების განაწილებამ უნდა უზრუნველყოს ცოდნის ეტაპობრივი გაღრმავება და კომპეტენციების უწყვეტი განვითარება. აღნიშნული ხელს შეუწყობს სწავლის შედეგების უფრო ეფექტურ მიღწევას და სტუდენტების აკადემიური განვითარების ლოგიკურ პროგრესიას.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	x	☐	☐	☐

1.4. საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი

➢ პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განხორციელების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

➢ პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

პროგრამა იცავს ECTS კრედიტების ტრანსფერის და დაგროვების ევროპულ სისტემას, სადაც 1 კრედიტი უტოლდება 25 საათს. საათები სათანადოდ არის გადანაწილებული საკონტაქტო და დამოუკიდებელ სამუშაოს შორის, სემესტრული დატვირთვა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად შეადგენს დაახლოებით 30 კრედიტს.

პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შეესაბამება მენეჯმენტის ბაკალავრის კვალიფიკაციისთვის დადგენილ მოთხოვნებს. ის ასევე მოიცავს ყველა მნიშვნელოვან ბიზნეს სფეროს, როგორიცაა მარკეტინგი და ფინანსები. სწავლის შედეგები ლოგიკურად შეესაბამება პროგრამის მიზნებს და უზრუნველყოფს კვალიფიკაციისთვის საჭირო ცოდნის და უნარების განვითარებას.

პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და კარგად ორგანიზებულია, ძირითადი საგნები წინ უსწრებს სპეციალიზებულ კურსებს და წინაპირობები მკაფიოდ არის განსაზღვრული. მაგალითად, მიკროეკონომიკა ისწავლება მაკროეკონომიკამდე, რაც უზრუნველყოფს ცოდნის თანმიმდევრულ განვითარებას.

სასწავლო კომპონენტები ლოგიკურად არის დალაგებული, ვითარდება მარტივიდან რთულისკენ. ენის კურსები ვითარდება A1 - დან B2 დონემდე, ხოლო პროფესიული საგნები ეფუძნება წინარე ცოდნას. წინაპირობები შესაფერისია, რაც სტუდენტებს უზრუნველყოფს საფუძვლიანი ცოდნით უფრო რთული კურსების დასაძლევად, აკადემიური პროგრესისთვის არასასურველი ბარიერების შექმნის გარეშე.

მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის სტრუქტურა ზოგადად კარგად არის დალაგებული, კვალიფიკაციების და წინაპირობების ლოგიკური კავშირის გათვალისწინებით, მნიშვნელოვან ხარვეზს წარმოადგენს "მენეჯმენტის საფუძვლების" სასწავლო კურსის არარსებობა. აღნიშნული კურსი წარმოადგენს მენეჯმენტის საგანმანათლებლო პროგრამების ძირითად კომპონენტს და მენეჯმენტის სხვადასხვა ფუნქციონალურ სფეროებზე ორინეტირებული კურსების აუცილებელ წინაპირობას.

"მენეჯმენტის საფუძვლების" კურსი უზრუნველყოფს, რომ სტუდენტები იძენენ მენეჯმენტის პრინციპების, ფუნქციების და პროცესების შესახებ საფუძვლიან ცოდნას, რაც წარმოადგენს აუცილებელ

წინაპირობას სპეციალიზებული მენეჯერული საგნების შესწავლისთვის. აღნიშნული კურსის არარსებობამ შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს სტუდენტების მიერ ცოდნის თანმიმდევრულ ათვისებაზე, რადგან მათ მოუწევთ სპეციალიზებული მენეჯერული საგნების შესწავლა შესაბამისი ძირითადი თეორიული წინაპირობის გარეშე.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ პროგრამის პირველი სწავლის შედეგი (პროგრამის სწავლის შედეგი1 - ავლენს და აღწერს ბიზნესის, ეკონომიკის და მენეჯმენტის ძირითად თეორიებს, კონცეფციებს, მოდელებს და მიდგომებს და განიხილავს მათ) მოითხოვს, რომ სტუდენტებს ესმოდეთ მენეჯმენტის ძირითადი თეორიები. ამჟამად, აღნიშნული სწავლის შედეგის მიღწევა ძირითადად მხარდაჭერილია "ორგანიზაციული ქცევის" სასწავლო კურსით, რაც არ არის საკმარისი მენეჯმენტის მრავალფეროვანი თეორიული საფუძვლების სრულყოფილად შესწავლისთვის.

შესაბამისად, რეკომენდებულია პროგრამას სავალდებულო კურსის სახით დაემატოს "მენეჯმენტის საფუძვლები" და განისაზღვროს სპეციალიზებული მენეჯმენტის საგნების წინაპირობად.

პროგრამის განვითრების პროცესში აქტიურად მონაწილეობდნენ სხვადასხვა დაინტერესებული მხარეები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- "ბიზნესის ადმინისტრირების" ერთობლივი საბაკალავრო პროგრამა (რენის ბიზნესი სკოლასთან, საფრანგეთი);
- პროგრამის სწავლის შედეგები.

რეკომენდაციები:

- 1.4.1 რეკომენდებულია, პროგრამას სავალდებულო მოთხოვნის სახით დაემატოს "მენეჯმენტის საფუძვლები" და განისაზღვროს სპეციალიზებული მენეჯმენტის კურსების წინაპირობად.

რჩევები: არ ეხება

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.4 საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	☐	x	☐	☐

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სასწავლო კურსების მიზნები, სწავლის შედეგები, შეფასების სისტემები, სწავლება - სწავლის მეთოდები, შინაარსი და სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა წარმოდგენილია პროგრამის სილაბუსებში. საგნების საკრედიტო დატვირთვა განსხვავდება საგნის სრული დატვირთვის მიხედვით. საკონტაქტო საათების და დამოუკიდებელი სწავლის განაწილება რაციონალურია. საკონტაქტო საათები (ლექციები, სემინარი / ჯგუფური მუშაობა / პრაქტიკული სამუშაო / კვლევითი სამუშაო) საკმარისია სტუდენტების სწავლის და სწავლის შედეგების მიღწევის მხარდასაჭერად.

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. თითოეული კურსის შინაარსი შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს. სილაბუსებში მითითებული სავალდებულო საკითხავი მასალები ძირითადად ეფუძნება დარგის თანამედროვე მიღწევებს და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. ფასდება სასწავლო კურსების თითოეული სწავლის შედეგის მიღწევა. სწავლის შედეგების შეფასების ფორმები, მეთოდები და კრიტერიუმები აღწერილია თითოეულ სასწავლო კურსში.

თუმცა, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა რამდენიმე რჩევა. თვითშეფასების ანგარიშთან ერთად წარმოდგენილი იყო კავკასიის უნივერსიტეტის და რენის ბიზნეს სკოლის სილაბუსები. წარმოდგენილ სილაბუსებს ჰქონდათ 2 განსხვავებული შაბლონი - ერთი კავკასიის უნივერსიტეტის და მეორე რენის ბიზნეს სკოლის. კავკასიის უნივერსიტეტის თითოეული სილაბუსი წარმოდგენილია შემდეგი სტრუქტურით: საგანთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაცია - საგნის დასახელება, კურსის კოდი, კურსის სტატუსი, კრედიტები, სკოლა, საფეხური, სემესტრი, ინფორმაცია პასუხისმგებელ ლექტორზე, წინაპირობები, სამუშაო დატვირთვის განაწილება, კურსის მიზნები, სწავლის შედეგები, სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა, სწავლების მეთოდები, სტუდენტებისთვის განსაზღვრული მოთხოვნები, ცოდნის შეფასების ფორმა და კრიტერიუმები და გამოყენებული შეფასების სისტემა, აკადემიური კალენდარი კვირების მიხედვით და კურსის შინაარსი. რენის ბიზნეს სკოლის თითოეული სილაბუსი წარმოდგენილია შემდეგი სტრუქტურით: ზოგადი ინფორმაცია - კურსის სახელწოდება, პროგრამა, პერიოდი, კოორდინატორი, საკონტაქტო საათები, კრედიტების რაოდენობა, წინაპირობები, კურსის აღწერა, პროგრამის სასწავლო მიზნების განხორციელებაში შეტანილი წვლილი, სწავლის შედეგები, განხილული თემები, სწავლების მეთოდები, შეფასების მეთოდები, აკადემიური კეთილსინდისიერება, ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა, მოდულის გეგმის ლექციები. სასურველია, სილაბუსები წარმოდგენილი იყოს ერთნაირი სტრუქტურით და შეფასების სისტემით, სასწავლო პროგრამის შესაბამისად. ასევე, სასურველია, გადაიხედოს ყველა საგანი, იმისათვის, რომ დაემატოს უფრო აქტუალური ლიტერატურა და დამატებითი საკითხავი მასალა იმ სტუდენტებისთვის, რომლებსაც სურთ უფრო სიღრმისეულად შეისწავლონ საგანი. ასევე, გასაუბრების დროს კავკასიის უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა აღნიშნეს,

რომ პასუხისმგებლობა სწავლების მესამე წელთან დაკავშირებით ეკისრება რენის ბიზნეს სკოლას, შესაბამისად კითხვა უნდა დასმულიყო რენის ბიზნეს სკოლის წარმომადგენლებთან. ეროვნული რეგულაციების თანახმად, ერთობლივი პროგრამა წარმოადგენს ორივე დაწესებულების პასუხისმგებლობას, შესაბამისად, სასურველია, თანამშრომლობა ეფუძნებოდეს თანაბარ პასუხისმგებლობას და კავკასიის უნივერსიტეტმა და რენის ბიზნეს სკოლამ ერთობლივად უზრუნველყონ პროგრამის განხორციელება და შეიმუშავონ ერთანირი სტრუქტურის მქონე სილაბუსები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის სილაბუსები;
- ადგილზე ვიზიტი,

რეკომენდაციები: არ ეხება

რჩევები:

1.5.1 სასურველია, სასწავლო პროგრამის შესაბამისად შემუშავდეს სილაბუსების ერთნაირი სტრუქტურა და შეფასების სისტემა.

1.5.2 სასურველია, გადაიხედოს ყველა საგანი, დაემატოს უფრო აქტუალური ლიტერატურა და დამატებითი საკითხავი მასალა იმ სტუდენტებისთვის, რომლებსაც სურთ უფრო სიღრმისეულად შეისწავლონ საგანი.

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არსებითად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1.5. სასწავლო კურსი/საგანი	**x**	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

1. 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	x
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ- ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

პროგრამაზე დაშვების პროცესი და პროცედურები გულდასმით არის ჩამოყალიბებული ეროვნული კანონმდებლობის და უნივერსიტეტის რეგულაციების შესაბამისად. დაშვების კრიტერიუმები ასახავს ბიზნეს სწავლების სპეციფიკურ მახასიათებლებს. აღნიშნული უზრუნველყოფს ისეთი აპლიკანტების შერჩევას, რომლებსაც გააჩნიათ შესაბამისი უნარები და დემონსტრირებენ პროგრამაში წარმატების მისაღწევად საჭირო კომპეტენციებს.

აღნიშნულ პროგრამაზე სწავლის უფლების მოსაპოვებლად, აპლიკანტებმა უნდა დააკმაყოფილონ შემდეგი მოთხოვნები:

- საგანმანათლებლო გამოცდილება: აპლიკანტს უნდა ჰქონდეს სრული ზოგადი განათლება ან მასთან გათანაბრებული კვალიფიკაცია.
- ერთიანი ეროვნული გამოცდები: პროგრამაზე დაშვებისთვის სავალდებულოა ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩაბარება.

გარკვეული პირები შეიძლება პროგრამაზე ჩაირიცხონ ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე. აღნიშნული მოიცავს:

1. მინისტრის ბრძანებით გათვალისწინებული გამონაკლისები: პირები, რომლებზეც ვრცელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224 / ნ ბრძანება, პროგრამაზე დაიშვებიან ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე, თუ ისინი აკმაყოფილებენ აღნიშნული ბრძანებით გათვალისწინებულ კონკრეტულ პირობებს.
2. მობილობის ფარგლებში მიღებული სტუდენტები: სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან გადმოსულ სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ შეუერთდნენ პროგრამას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10 / ნ ბრძანების შესაბამისად, რომელიც არეგულირებს მობილობის პროცედურებს და საფასურს.

აღნიშნული გამონაკლისები უზრუნველყოფს პროგრამაზე დაშვების მოქნილობას და ინარჩუნებს ქართული საგანმანათლებლო სისტემის მიერ დადგენილ სტანდარტებს.

თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, "ბიზნესის ადმინისტრირების" ერთობლივ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხად, სტუდენტებმა უნდა ჩააბარონ ინგლისური ენა, როგორც

უცხო ენა. აპლიკანტებს, რომლებსაც ერთიან ეროვნულ გამოცდებზე არ მოეთხოვებათ ინგლისური ენის ჩაბარება, შეუძლიათ დაადასტურონ ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნა შემდეგი საშუალებებით:

- IELTS (მინიმალური ქულა: 6.0)
- TOEFL (მინიმალური ქულა: 78)
- B2 დონის დამადასტურებელი სხვა აღიარებული საერთაშორისო სერტიფიკატები.

ასევე, სტუდენტებს შეუძლიათ ჩააბარონ უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული B2 დონის ინგლისური ენის გამოცდა.

სწავლების მესამე წელს, რენის ბიზნეს სკოლაში სწავლის გაგრძელების მიზნით, სტუდენტებმა უნდა წარმოადგინონ ინგლისური ენის სერტიფიკატები: IELTS - 6.0, TOEFL - 80 ან მათთან გათანაბრებული სხვა სერთიფიკატი. ასევე, რენის ბიზნეს სკოლაში მესამე წლის გასაგრძელებლად სტუდენტებმა უნდა დაფარონ პირველი და მეორე წლის ყველა სასწავლო კურსი და დააგროვონ შესაბამისი კრედიტები.

ვიზიტის დროს ასევე აღინიშნა, რომ უნივერსიტეტი ხელს უწყობს სტუდენტების სავიზო პროცესს საფრანგეთის საელჩოსთან რეგულარული შეხვედრების მეშვეობით, ვინაიდან მათი სწავლების მესამე წელი ხორციელდება რენის ბიზნეს სკოლაში.

დოკუმენტაციის და ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული გასაუბრებების საფუძველზე დადასტურდა, რომ პროგრამაზე დაშვების მოთხოვნები მჭიდროდ შეესაბამება პროგრამის შინაარსს, სწავლის დაგეგმილ შედეგებს, განათლების დონეს, მისანიჭებელ კვალიფიკაციას და სწავლების ენას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- სტუდენტების პირადი საქმეები (მიმდინარე პროგრამებისთვის);
- კავკასიის უნივერსიტეტის ვებ - გვერდი;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამაზე დაშვების წინაპირობები;
- ვიზიტის დროს განხორციელებული გასაუბრებები.

რეკომენდაციები: არ ეხება

რჩევები: არ ეხება

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	**X**	☐	☐	☐

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

როგორც გასაუბრებების დროს აღინიშნა, სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა სტაჟირების განმავლობაში განივითარონ პრაქტიკული უნარები. რენის ბიზნესის სკოლა უზრუნველყოფს მხარდამჭერ სერვისებს აღნიშნული სტაჟირების მოსაძიებლად. თუმცა, აღნიშნული პერიოდები არ არის გათვალისწინებული სასწავლო კურსის ზოგად სტრუქტურაში. ასევე, სტაჟირების ფარგლებში არ გროვდება კრედიტები, თუმცა ის სავალდებულოა მესამე წლის განმავლობაში. რენის ბიზნეს სკოლის მესამე აკადემიურ წელს სტუდენტებს საბაკალავრო ნაშრომთან ერთად მოეთხოვებათ მონაწილეობა მიიღონ 8 კვირიან სტაჟირებაში. სტაჟირება სტუდენტებს საშუალებას აძლევს ჩაერთონ რეალური სამყაროს საკითხებში და პრაქტიკულ მაგალითებში და გამოიყენონ თეორიული ცოდნა პროფესიულ გარემოში. სტაჟირების ფარგლებში, სტუდენტებს შეუძლიათ შეისწავლონ, გააანალიზონ და გამოიკვლიონ რელევანტური თემები, გაიუმჯობესონ როგორცაკადემიური, ისე პრაქტიკული უნარები.

თვითშეფასების ანგარიშის და ჩატარებული გასაუბრებების საფუძველზე გამოვლინდა, რომ კურსების ფარგელბში გამოყენებული სხვადასხვა პედაგოგიური მეთოდები ავითარებს შემოქმედებითობას (მაგ. გონებრივი იერიში), პრაქტიკულ (მაგალითად, ინდივიდუალური და კოლექტიური პროექტები ან შემთხვევების განხილვა) ან სამეცნიერო უნარებს (მაგალითად, ანალიზი და დედუქციური მსჯელობა).

პრაქტიკული და გამოყენებითი უნარების განვითარება ძირითადად გათვალისწინებულია არჩევით კურსებში, რომლებიც ისწავლება რენის ბიზნეს სკოლის მესამე წელს. აღნიშნულ კურსებში აქცენტი კეთდება ჯგუფურ და ინდივიდუალურ პროექტებზე, რომლებიც შექმნილია სტუდენტების დასახმარებლად გამოიყენონ თეორიული ცოდნა და მოერგონ რეალურ ბიზნეს გარემოს.

მესამე წლის საბაკალავრო ნაშრომი მიმართულია სტუდენტების კვლევითი და სამეცნიერო შესაძლებლობების განვითარებისკენ.

უნდა აღინიშნოს, რომ კავკასიის უნივერსიტეტმა წარმოადგინა ქართველ დამსაქმებლებთან გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმები, რომლებშიც გაწერილია თანამშრომლობის და პრაქტიკული უნარების განვითარების შესაძლებლობები. ვინაიდან სტაჟირებებს კოორდინირებას უწევს რენის ბიზნეს სკოლა, მნიშვნელოვანია, რომ კავკასიის უნივერსიტეტმა რეგულარულად მიიღოს განახლებული ინფორმაცია შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- კომპანიების ჩამონათვალი, რომლებიც განახორციელებენ სტაჟირებას.
- სტაჟირებაში მონაწილე სტუდენტების რაოდენობა.

აღნიშნული ინფორმაციის გაცვლა ხელს შეუწყობს უკეთეს კოორდინაციას და სტუდენტების მხარდაჭერას მათი სტაჟირების პერიოდში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- დამსაქმებლებთან გაფორმებული მემორანდუმები;
- სილაბუსებით განსაზღვრული პრაქტიკული დავალებები;

- მოქმედი პროგრამების ფარგლებში განხორციელებული სტუდენტების გამოკითხვის შედეგები.

რეკომენდაციები: **არ ეხება**

რჩევები:

- 2.2.1 სასურველია, კავკასიის უნივერსიტეტი რეგულარულად იღებდეს განახლებულ ინფორმაციას რენის ბიზნეს სკოლის სტაჟირების განმახორციელებელი კომპანიების ჩამონათვალის და სტაჟირებაში მონაწილე სტუდენტების რაოდენობის შესახებ.

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
2.2. 2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	**X**	☐	☐	☐

2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

წარმოდგენილი დოკუმენტებისა და თვითშეფასების ანგარიშის ანალიზი და ადგილზე ვიზიტი აჩვენებს შემდეგს:

სწავლება-სწავლის გამოყენებული მეთოდები მრავალფეროვანია და თითოეული სასწავლო კურსის/საგნის მეთოდები შეესაბამება განათლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს, ასევე დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სწავლება-სწავლის მეთოდები ხელს უწყობს როგორც სტუდენტებსა და პერსონალს, ისე თავად სტუდენტებს შორის ინტერაქციას; უზრუნველყოფს სტუდენტების ჩართყკიბას სასწავლო პროცესში შესაბამისი ავტონომიითა და პასუხისმგებლობით და ორიენტირებულია სხვადასხვა უნარის, მათ შორის კრიტიკული და ანალიტიკური უნარების განვითარებაზე. ამასთან, დამსაქმებლების შეფასებით, როგორც მათ ეს ადგილზე ვიზიტის დროს გააჟღერეს, სტუდენტები, რომლებიც მათ სტაჟირებისთვის მიმართავენ, განათლების მაღალი ხარისხით გამოირჩევიან და ტრანსფერული უნარების თვალსაზრისით შეესაბამებიან შრომის ბაზრარზე არსებულ ზოგად დონეს.

პროგრამის სასწავლო კურსების სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება კურსის სპეციფიკასა და შინაარსს, რაც უზრუნველყოფს სილაბუსით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. სწავლება-სწავლის მეთოდები მოქნილია და ითვალისწინებს სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს.

სწავლება-სწავლის პროცესში გამოყენებული მეთოდები ერთმანეთს ავსებს. თითოეული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები ასახულია შესაბამისი კურსის სილაბუსში და მორგებულია კურსის მიზნებსა და სწავლის შედეგებზე.

სტუდენტის ინტერესებისა და აკადემიური მზადყოფნის შესაბამისად იქმნება და გამოიყენება ინდივიდუალური სასწავლო გეგმები.

სტუდენტის ინტერესებისა და აკადემიური მზადყოფნის შესაბამისად იქმნება და გამოიყენება ინდივიდუალური სასწავლო გეგმები.

აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი სწავლება-სწავლისა და შეფასების მეთოდების განსაზღვრისას ითვალისწინებს სტუდენტების კულტურულ და/ან სხვა საჭიროებებს.

აუცილებლობის შემთხვევაში, უსდ უზრუნველყოფს ელექტრონულ/დისტანციურ სწავლებას, შესაბამისი სწავლის სფეროსთვის რელევანტური სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით და აღნიშნული არ ცვლის პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებს.

უნივერსიტეტი ატარებს სტუდენტთა შეფასების გამოკითხვებს და ანალიზის შედეგები აისახება პროგრამაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- დაწესებულებაში ვიზიტი;
- სასწავლო გეგმა და სილაბუსები;
- სტუდენტთა გამოკითხვები;

რეკომენდაციები: **არ ეხება**

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის **არ ეხება**

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები	**X**	☐	☐	☐

2.4. სტუდენტის შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად. გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

უნივერსიტეტში სტუდენტთა შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით და შეესაბამება როგორც გარე, ისე შიდა საუნივერსიტეტო რეგულაციებს. სტუდენტთა ცოდნა ფასდება 100-ქულიანი სისტემის მიხედვით, რომელიც მოიცავს მიმდინარე, შუალედურ და საბოლოო შეფასებებს. თითოეულ სასწავლო კურსში სტუდენტმა უნდა დააგროვოს მინიმუმ 51 ქულა მაქსიმალური შეფასებიდან, რათა კურსი ჩათვალოს გავლილად. აღნიშნული დეტალურად არის გაწერილი თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში. აღსანიშნავია, რომ სტუდენტები კარგად იცნობენ შეფასების სქემასა და კომპონენტებს, რაც დასტურდება სტუდენტებთან ჩატარებული ინტერვიუებით, ხოლო აკადემიური და მოწვეული პერსონალი უზრუნველყოფს, რომ სტუდენტები კარგად იყვნენ ინფორმირებულნი შეფასების კრიტერიუმების შესახებ.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სტუდენტები იცნობენ სილაბუსში გაწერილ შეფასების სისტემას, ხოლო პროგრამაში გაწერილი შეფასების სქემა სანდოა, გამჭვირვალე, მორგებულია სტუდენტის კანონიერ ინტერესებზე და შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან. გარდა ამისა, სტუდენტები იღებენ უკუკავშირს როგორც სწავლის შედეგების, ისე საკუთარი ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების შესახებ.

რადგან აღნიშნული პროგრამა კავკასიის უნივერსიტეტსა და რენის ბიზნესის სკოლის ერთობლივი პროგრამაა, ის მოიცავს ორივე დაწესებულების მიერ შემუშავებულ სილაბუსებს, რომლებიც ასევე თავსებადია ერთმანეთთან და არ ქმნის დაბრკოლებას სტუდენტებისთვის მესამე სასწავლო წელს, როდესაც ისინი სწავლას საფრანგეთში, რენის ბიზნესის სკოლაში აგრძელებენ.

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს შეფასების გასაჩივრების პროცესი, რომელიც გამჭვირვალე და ობიექტურია. ინტერვიუს დროს სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ მათ იციან შეფასების გასაჩივრების პროცედურა, თუმცა მათ არ ჰქონიათ გასაჩივრების გამოცდილება.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ელექტრონული სასწავლო პლატფორმა, რომლის მეშვეობითაც სტუდენტები მუდმივად იღებენ სხვადასხვა ინფორმაციას. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტს შეძენილი აქვს პლაგიატის ამოცნობის პროგრამა, რომლის საშუალებითაც მოწმდება უნივერსიტეტში შექმნილი ნაშრომები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- ადგილზე ვიზიტი;
- ინტერვიუები;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის კურსების სილაბუსები;
- დებულება სტუდენტის სტატუსის შესახებ
- გამოცდების ჩატარების რეგულაციები;
- სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ელექტრონული მონაცემთა ბაზა;

რეკომენდაციები: **არ ეხება**

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის	არ ეხება

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.4. სტუდენტების შეფასება	X	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	x
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

3. სტუდენტთა მოსწრება, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტები იღებენ კონსულტაციას და მხარდაჭერას სასწავლო პროცესის დაგეგმვის, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებისა და კარიერული განვითარების საკითხებში უსდ- ის პროგრამაში ან/ და სტრუქტურულ ერთეულებში ჩართული ადამიანებისგან. სტუდენტს აქვს შესაძლებლობა ჰქონდეს მრავალფეროვანი სასწავლო პროცესი და მიიღოს შესაბამისი ინფორმაცია და რეკომენდაციები პროგრამაში ჩართული პირებისგან.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს საგანმანათლებლო პროცესის მართვისა და სტუდენტთა რეგისტრაციის სამსახური, რომლის ძირითადი ფუნქციაა სტუდენტებისთვის საინფორმაციო მომსახურების მიწოდება, სხვადასხვა ცნობების გაცემის პროცესის მართვა, კონსულტაციის გაწევა, სტუდენტთა განცხადებების მიღება და მათზე რეაგირება, ასევე საგანმანათლებლო პროცესში

სტუდენტებისთვის შექმნილი პრობლემების გადაჭრა შესაბამისი სერვისების მეშვეობით როგორც ფაკულტეტის, ისე უნივერსიტეტის ადმინისტრაციის დონეზე.

სტუდენტს შეუძლია მიიღოს საჭირო ინფორმაცია, კონსულტაცია და მხარდაჭერა საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებისთვის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელისა და საბაკალავრო პროგრამების დირექტორისგან, ხოლო საჭიროების შემთხვევაში - დეკანისგანაც.

ერთობლივი პროგრამის სტუდენტები, ორი აკადემიური წლის დასრულების შემდეგ, მიემგზავრებიან საფრანგეთში, სადაც აგრძელებენ დარგობრივი საგნების შესწავლას. სტუდენტების სწავლის მოტივაციის მთავარი წყაროა ორმაგი დიპლომი და ის გამოცდილება, რომელსაც ისინი საზღვარგარეთ სწავლის პერიოდში იღებენ. აღსანიშნავია, რომ საფრანგეთში სწავლის გასაგრძელებლად სტუდენტებს ინგლისური ენის საერთაშორისო დონეზე აღიარებული სერტიფიკატი ესაჭიროებათ, რის შესახებაც მათ სწავლის დასაწყისშივე აწვდიან ინფორმაციას და, პარალელურად, უზრუნველყოფენ საჭირო მომზადებას აღნიშნული მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად.

მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის სტუდენტები მესამე სასწავლო წელს საფრანგეთში მიემგზავრებიან, მათ ასევე აქვთ შესაძლებლობა, პირველ და მეორე სასწავლო წლებში მონაწილეობა მიიღონ გაცვლით პროგრამებში სხვადასხვა ქვეყანაში. აღნიშნული დასტურდება როგორც უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით, ისე სტუდენტებთან ჩატარებული ინტერვიუებით.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სტუდენტი პროგრამაზე ჩარიცხვისთანავე ერთვება უნივერსიტეტის შიდა საინფორმაციო ქსელებში. საორიენტაციო ტრენინგის ფარგლებში მათ გადაეცემათ უნივერსიტეტის ელფოსტა, რაც საშუალებას აძლევს სტუდენტებს სრულად ინტეგრირდნენ უნივერსიტეტის შიდა საინფორმაციო სივრცეში და შეუფერხებლად მიიღონ ყველა საჭირო ინფორმაცია, რომელიც შიდა ქსელებით ვრცელდება. აღნიშნული დასტურდება როგორც სტუდენტებთან ინტერვიუებით, ისე წარმოდგენილი ინფორმაციით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- დაწესებულებაში ვიზიტი;
- გასაუბრებები;
- კავკასიის უნივერსიტეტის სტრუქტურა და რეგულაციები, რომელიც განსაზღვრავს უნივერსიტეტის სხვადასხვა დეპარტამენტის ფუნქციებსა და პასუხისმგებლობებს;
- დამსაქმებლებთან გაფორმებული მემორანდუმები;
- უნივერსიტეტის ვებსაიტზე გამოქვეყნებული კარიერული განვითარების აქტივობები;
- საჯარო ლექციები, სემინარები და სხვადასხვა თემატური კონკურსები, რომლებიც ვებსაიტზე ქვეყნდება;
- სტუდენტთა საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა;
- ომბუდსმენის დებულება.

რეკომენდაციები: **არ ეხება**

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის **არ ეხება**

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერის სერვისები	X	☐	☐	☐

3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

➢ სამეცნიერო ხელმძღვანელი სათანადო მხარდაჭერას უწევს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით შესასრულებლად.

➢ სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	X
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.

➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/

საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ბიზნესის ადმინისტრირების ერთობლივი საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობს აკადემიური და მოწვეული პერსონალი. პროგრამაზე აქტიური სტუდენტების რაოდენობა 43-ს შეადგენს. მეორე მხრივ, აკადემიური პერსონალის რაოდენობა 30-ია, ხოლო მოწვეული პერსონალის - 10. შესაბამისად, ვიღებთ შემდეგ თანაფარდობებს:

- პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობის და აფილირებული აკადემიური პერსონალის თანაფარდობა: 0,21;
- პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობის და აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის თანაფარდობა 0,93;
- აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა 3.00.

გარდა ამისა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ აკადემიური პერსონალის საერთო რაოდენობიდან 24 ლექტორი პარტნიორი უნივერსიტეტებიდანაა. აკადემიურ პერსონალს გააჩნია შესაბამის სფეროში მუშაობის თეორიული და პრაქტიკული გამოცდილება. აღნიშნულ აკადემიურ პერსონალს მინიჭებული აქვს დოქტორის ხარისხი შესაბამის სფეროში და მათ გააჩნიათ მნიშვნელოვანი პრაქტიკული გამოცდილება, პუბლიკაციები და მიმდინარე კვლევითი ინტერესები, რაც ხელს უწყობს მათ აქტიურ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში.

პროგრამის მასშტაბი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობისა და სამუშაო დატვირთვის ისე გადანაწილებას, რომ უზრუნველყოფილი საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა და მათზე დაკისრებული ფუნქციების სათანადო შესრულება, მათ შორის სამეცნიერო კვლევებისა და შემოქმედებითი პროექტების განხორციელება. პროგრამის ხელმძღვანელი არის კავკასიის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, რომელსაც აქვს დიდი და მრავალწლიანი გამოცდილება განათლებისა და სწავლების სფეროში როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ.

პროგრამას აქვს აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სამუშაო დატვირთვის სქემა, რომელიც ყოველ სემესტრში ახლდება. აღნიშნული სქემა მოიცავს ინფორმაციას აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვის შესახებ შესაბამისი სასწავლო კურსისა და ყველა იმ დაწესებულებაში დატვირთვის მიხედვით, სადაც მათ აკადემიური ან სამეცნიერო პოზიცია უკავიათ.

პროგრამის აღწერის დოკუმენტში მოცემულია პროგრამის საათობრივი გაანგარიშება, ხოლო სილაბუსში აღნიშნულია სტუდენტთა კონსულტაციებისთვის გამოყოფილი საათები.

პროგრამის სტუდენტები უზრუნველყოფილნი არიან შესაბამისი კომპეტენციის მქონე, საკმარისი რაოდენობის ადმინისტრაციული და მხარდამჭერი პერსონალით. ადმინისტრაციული და მხარდამჭერი პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მათ ფუნქციებს.

ქვემოთ წარმოდგენილია პროგრამაში ჩართული პერსონალის ანალიზი. დოკუმენტაციის ანალიზი, რომელიც მოიცავს CV-ებს, აკადემიურ დოკუმენტაციას და სხვა მასალებს, აჩვენებს, რომ აკადემიურ პერსონალს აქვს დარგობრივი ექსპერტიზა და დოქტორის ხარისხი შესაბამის სფეროში.

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი)	**პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა**	**მათ შორის დარგობრივი მიმართულებით პერსონალი**	**მათ შორის დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი**	**მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი**
სულ აკადემიური პერსონალი	30	30	30	9
- პროფესორი	5	5	5	2
- ასოცირებული პროფესორი	12	12	12	6
- ასისტენტ–პროფესორი	13	13	13	1
- ასისტენტი	0	0	0	0
მოწვეული პერსონალი	10	10	2	_
სამეცნიერო პერსონალი	0	0	0	_

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში,
- ადგილზე ვიზიტი;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები
- აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები.
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამუშაო დატვირთვის წესი
- პროგრამის მენეჯერის დამტკიცების ბრძანება
- სკოლების რეგულაციები.

რეკომენდაციები: **არ ეხება**

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის **არ ეხება**

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**

4.1. ადამიანური რესურსი	X	☐	☐	☐

4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

მაგისტრანტსა და დოქტორანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი / ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი / თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო - კვლევითი გამოცდილება.

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტმა შექმნა სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის დეპარტამენტი, რომელიც უზრუნველყოფს ინტერნაციონალიზაციისა და კვლევების განხორციელების პროცესის მხარდაჭერას. აღნიშნული დეპარტამენტი აგროვებს და რეგულარულად ანახლებს კავკასიის უნივერსიტეტთან ინსტიტუციური აფილირების ფარგლებში გამოქვეყნებულ სამეცნიერო ნაშრომებს; აგრეთვე აგროვებს ინფორმაციას ადგილობრივი დონორებისთვის დაფინანსების მიზნით წარდგენილ კვლევით პროექტებზე.

კვლევის შიდა საუნივერსიტეტო დაფინანსების წესის მიხედვით, კვლევითი პროექტების წარდგენა ხდება წელიწადში ორჯერ – დეკემბერსა და ივნისში. დასაფინანსებელ პროექტებს შეარჩევენ კონკურსის კომისია და სფეროს გარე ექსპერტები. უკვე დაფინანსებული პროექტების მონიტორინგს ატარებენ სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობისა და საფინანსო დეპარტამენტები.

სტუდენტები ავსებენ კითხვარებს, რომლებიც მოიცავს კურსისა და აკადემიური პერსონალის შეფასების ყველა მიმართულებას. უნივერსიტეტი ახორციელებს მიღებული მონაცემების სიღრმისეულ ანალიზს. გარდა ამისა, აკადემიური პერსონალი ვალდებულია წარმოადგინოს სამუშაო გეგმა, რომლის შესრულებაც აკადემიური წლის ბოლოს ფასდება. აღნიშნული ინფორმაციის საფუძველზე, აკადემიური პერსონალის შეფასება სისტემატურად ხორციელდება.

კავკასიის უნივერსიტეტი ატარებს კითხვარებზე დაფუძნებულ კვლევებს, რათა შეაფასოს აკადემიური პერსონალის კმაყოფილების დონე და საჭიროებები. მიღებული შედეგების საფუძველზე შეიმუშავებენ და ნერგავენ მექანიზმებს, რომლებიც მხარს უჭერს აკადემიური პერსონალის პროფესიულ განვითარებას.

ადგილობრივ და უცხოურ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის ფარგლებში, უნივერსიტეტის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს აქვს შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღოს სხვადასხვა საერთაშორისო ღონისძიებებში. გარდა ამისა, უნივერსიტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებულია კვლევისა და განვითარების ხარჯები.

კავკასიის უნივერსიტეტს გააჩნია სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის წახალისების სხვადასხვა მექანიზმები. მათ შორის მნიშვნელოვანია: "სტუდენტთა უნარების განვითარების მხარდამჭერი ექსტრაკურიკულარული ინიციატივების საუნივერსიტეტო დაფინანსება/ თანადაფინანსება"; "აფილირებული აკადემიური პერსონალის მიერ აკადემიური წლის განმავლობაში განხორციელებული სამეცნიერო აქტივობების შეფასების წესი"

უნივერსიტეტი მუდმივად ავითარებს სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის წახალისების მექანიზმებს. ის მკვლევარებს უზრუნველყოფს სრულფასოვანი კვლევითი ინფრასტრუქტურით, ელექტრონული სამეცნიერო ბაზებით, ასევე კონსულტაციებითა და გზამკვლევობით კვლევის პროცესში.

უნივერსიტეტი აქტიურად მონაწილეობს და მასპინძლობს როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციებს, სხვადასხვა აკადემიურ ღონისძიებებს, საინფორმაციო შეხვედრებსა და ტრენინგებს კავკასიის უნივერსიტეტის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში,
- ადგილზე ვიზიტი;
- აკადემიური პერსონალის კითხვარი .
- საერთაშორისო მობილობის სტატისტიკა.
- მემორანდუმები, ხელშეკრულებები
- კვლევების ხელშეწყობის დეპარტამენტის წლიური ანგარიშები
- კავკასიის უნივერსიტეტის მმართველი საბჭოს მიერ დამტკიცებული კვლევის შიდა საუნივერსიტეტო დაფინანსების წესები და პროცედურები
- "სტუდენტთა უნარების განვითარების მხარდამჭერი ექსტრაკურიკულარული ინიციატივების საუნივერსიტეტო დაფინანსების/თანადაფინანსების წესი", დამტკიცებული კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტის ბრძანებით.
- უნივერსიტეტის ვებსაიტზე გამოქვეყნებული ინფორმაცია საერთაშორისო პროექტების ფარგლებში ჩატარებული შეხვედრებისა და ღონისძიებების შესახებ.

რეკომენდაციები: **არ ეხება**

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის **არ ეხება**

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
4.3 აკადემიური, სამეცნიერო და	**X**	☐	☐	☐

მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

კავკასიის უნივერსიტეტს შექმნილი აქვს თანამედროვე სასწავლო გარემო, რომელიც ხელს უწყობს როგორც სწავლას, ისე პრაქტიკული უნარების შეძენას. ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება კავკასიის უნივერსიტეტსა და რენის ბიზნესის სკოლაში და ორივე კამპუსი აღჭურვილია თანამედროვე ინფრასტრუქტურით. ყველა აუდიტორია აღჭურვილია აუცილებელი ტექნიკური საშუალებებით, რაც უზრუნველყოფს ლექციების სათანადოდ ჩატარებას. სასწავლო ოთახები აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკითა და საინფორმაციო-საკომუნიკაცო ინფრასტრქტურით, მათ შორის საჭირო პროგრამული უზრუნველყოფით აღჭურვილი კომპიუტერებით, და პროექტორებით, რომლებიც გამოიყენება საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებში. კავკასიის ბიზნეს სკოლას ასევე გამოყოფილი აქვს ოთხი სპეციალური ოთახი სტარტაპ აქსელერატორებისათვის. აღნიშნული სივრცეები აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიებით, მათ შორის VR სისტემებით, ჩაწერის დანადგარებით, ჭკვიანი დაფებით და სხვა ინოვაციური ტექნიკით, რაც უზრუნველყოფს მეწარმეობის განვითარებისათვის საჭირო ინოვაციური გარემოს შექმნას.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა აღჭურვილია თანამედროვე ინფრასტრუქტურით და უზრუნველყოფს წვდომას ბეჭდურ და ელექტრონულ რესურსებზე, რომლებიც სრულად შეესაბამება საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნებს. ბიბლიოთეკაში წარმოდგენილია 23,651 ბეჭდური გამოცემა და 7,986 ელექტრონული წიგნი და პუბლიკაცია, რომლებიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის, მოწვეული მკვლევარებისა და აკადემიური პერსონალისათვის.

ელექტრონული კატალოგი უზრუნველყოფს რესურსებზე მარტივ წვდომას. ბიბლიოთეკაში მოწყობილია სრულად აღჭურვილი სამკითხველო დარბაზი, რომელიც უზრუნველყოფილია სკამებით, მაგიდებითა და კომპიუტერებით, რათა სტუდენტებისთვის შეიქმნას კომფორტული და ეფექტიანი სასწავლო გარემო. გარდა ამისა, სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია ასლის მრავალფუნქციური დანადგარი, ხოლო ბიბლიოთეკის სამი თანამშრომელი მზადაა საჭიროების შემთხვევაში დახმარება გაუწიოს მათ. სამკითხველო დარბაზში სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ელექტრონული ისარგებლონ ინტერნეტით და საერთაშორისო რესურსებით, როგორიცაა:

- EBSCO HOST
- Legal Source
- International Security & Counter-Terrorism Reference Center
- MEDLINE with Full Text
- Emerald: Accounting, Finance and Economics eJournal
- ScienceDirect

- Scopus
- Sci-val Funding (Funding Institutional)
- HeinOnline
- Taylor and Francis

სამეცნიერო ჟურნალები:

- Cambridge Journals Online (https://www.cambridge.org/core) (კემბრიჯის ონლაინ ჟურბალები)
- e-Duke Journals Scholarly Collection (https://www.dukeupress.edu/) - ე-დიუკ ჟურნალების მკვლევართა კოლექციები
- Edward Elgar Publishing ის ჟურნალები და განვითარების კვლევების ელექტრონული წიგნები
- ევროპული რესპირატორული ჟურნალი
- IMechE ჟურნალები
- მათემატიკური მეცნიერებების საგამომცემლო ჟურნალები
- ღია რედაქციების ჟურნალები
- Royal Society-ს ჟურნალების კოლექცია
- SAGE-ის ჟურნალები
- The Company of Biologists ის ჟურნალები

ელექტრონული კატალოგი უნივერსიტეტის ვებგვერდიდან მარტივადაა ხელმისაწვდომი, რაც საშუალებას აძლევს მომხმარებლებს, მოიძიონ მასალები ავტორის, სათაურის ან თემატიკის მიხედვით. აღნიშნული სისტემა შექმნილია იმისთვის, რომ სტუდენტებმა და აკადემიურმა პერსონალმა მარტივად შეძლონ საბიბლიოთეკო რესურსების ძიება და გამოყენება. სმარტ სისტემა სტუდენტებს უზრუნველყოფს წვდომით ყველა საჭირო ლიტერატურაზე, ციფრული პლატფორმის საშუალებით, რაც მათ შესაძლებლობას აძლევს, ისწავლონ უწყვეტად, ადგილმდებარეობის მიუხედავად. ეს მიდგომა სტუდენტებს საშუალებას აძლევს, მუდმივი წვდომა შეინარჩუნონ თანამედროვე სამეცნიერო ცოდნასთან, როგორც ეს მათ პროგრამაშია განსაზღვრული.

რენის ბიზნესის სკოლას აქვს ოთხი თანამედროვე შენობა, რომელიც განთავსებულია 27,000 m^2 ფართობზე. სასწავლო ცენტრი მოიცავს 10,000-ზე მეტ პუბლიკაციასა და აკადემიურ ჟურნალს, 20,000 წიგნს და ელექტრონული წიგნების კოლექციას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- უნივერსიტეტის მატერიალური და ტექნიკური რესურსები
- საერთაშორისო ბიბლიოთეკებსა და აკადემიურ მონაცემთა ბაზებზე წვდომა;
- ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი.
- გასაუბრება ვიზიტის დროს.

რეკომენდაციები: **არ ეხება**

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის **არ ეხება**

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.4 მატერიალური რესურსი	X	☐	☐	☐

4.5 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს

კავკასიის უნივერსიტეტმა წარმოადგინა პროგრამის დეტალური ბიუჯეტი, რომელიც მოიცავს სტუდენტთა რაოდენობისა და სხვადასხვა ხარჯების კატეგორიების გაანგარიშებას. პროგრამის დაფინანსების მთავარი წყარო სტუდენტთა სწავლის საფასურია, რომელიც სრულად უზრუნველყოფს საჭირო ხარჯების დაფარვას. რადგან პროგრამა ორივე ინსტიტუციის მიერ ერთობლივად ხორციელდება, მათ დაკვირვებით დაგეგმეს ყველა დაკავშირებული ხარჯი. პროგნოზების მიხედვით, სტუდენტთა სწავლის საფასურიდან მიღებული შემოსავლები სრულად დაფარავს პროგრამის ყველა საჭიროებას.

გასაუბრების დროს კავკასიის უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის დეკანმა ხაზი გაუსვა, რომ ეს ერთობლივი პროგრამა შესაბამისობაშია უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების მიზნებთან. პროგრამა ყოველწლიურად 15 ახალი სტუდენტის მიღებას მოიაზრებს, სადაც თითოეული სტუდენტზე სავარაუდო წლიური ხარჯი 6,100 ევროს შეადგენს. ფინანსური მენეჯერის განმარტებით, რენის ბიზნესის სკოლის მოთხოვნის მიხედვით, პროგრამაში ყოველწლიურად სავალდებულოა 15 სტუდენტის ჩარიცხვა. თუმცა, კავკასიის უნივერსიტეტისთვის ნულოვანი მოგების წერტილი (break-even point) 15 სტუდენტზე დაბალია, რაც ნიშნავს, რომ პროგრამა ფინანსურად მდგრადია, იმ შემთხვევაშიც კი, თუკი სამიზნე რაოდენობა არ იქნება ბოლომდე მიღწეული. ასევე აღინიშნა, რომ შემოსავლებში მერყეობის შემთხვევაში, უნივერსიტეტი მზადაა, პროგრამის დაფინანსება ცენტრალური ბიუჯეტიდან უზრუნველყოს.

ამგვარად, პროგრამას ორი ფინანსური წყარო აქვს:

1. სტუდენტთა სწავლის საფასური;
2. კავკასიის უნივერსიტეტის ცენტრალური ბიუჯეტი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის ბიუჯეტი
- სტუდენტთა ექსტრაკურიკულარული აქტივობების დაფინანსების/თანადაფინანსების წესი
- ინტერვიუები ვიზიტის დროს.

რეკომენდაციები: **არ ეხება**

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის	არ ეხება

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	X	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	x
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან / პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კავკასიის უნივერსიტეტის (CU) შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები სტრატეგიული მენეჯმენტის განუყოფელი ნაწილია და მიზნად ისახავს დაწესებულების მისიისა და მიზნების მიღწევას. აღნიშნული კონცეფცია ეფუძნება კვლევისა და შეფასების სისტემატურ და საჭიროებებზე დაფუძნებულ პრაქტიკებს. შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში გამოიყენება სხვადასხვა ინსტრუმენტი, მათ შორის: პროგრამების შიდა თვითშეფასება; სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი; სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვა; ბენჩმარქინგი; დამსაქმებელთა

კვლევა; თვითშეფასება და აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის შეფასება. დოკუმენტების ანალიზისა და გასაუბრების შედეგად ცხადია, რომ პროგრამის განვითარება და დამტკიცება სრულად შეესაბამება უნივერსიტეტის შიდა რეგულაციებით დადგენილ პროცედურას. აღნიშნული შესაბამისობა უზრუნველყოფს უსაფრთხოებასა და შესაბამისობას, რაც ნიშნავს, რომ პროგრამები შემუშავდა და დამტკიცდა უნივერსიტეტის სტანდარტების შესაბამისად.

დოკუმენტებისა და დაინტერესებულ მხარეებთან ჩატარებული გასაუბრებამ აჩვენა, რომ პროგრამის პერსონალი თანამშრომლობდა შიდა ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტთან. აღნიშნული თანამშრომლობა ხაზს უსვამს პროგრამის ხარისხის შეფასებისა და თვითშეფასების ანგარიშის პროცესში გამოვლენილი გამოწვევების მოგვარების მნიშვნელობას. თუმცაღა, ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნა, რომ, რადგან საბაკალავრო პროგრამა ერთობლივი პროგრამაა, თვითშეფასების ჯგუფში რენის ბიზნესის სკოლის წარმომადგენლების ჩართვა სასარგებლო იქნებოდა. ადგილზე ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფმა კითხვები დასვა ამ საკითხთან დაკავშირებით, რაზეც უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ (უსდ) აღნიშნა, რომ პროცესში ფრანგული მხარის წარმომადგენლებიც იყვნენ ჩართული. მიუხედავად ამისა, ექსპერტთა ჯგუფმა მაინც გასცა რჩევა თვითშეფასების ერთიანი ჯგუფის ფორმირებასთან დაკავშირებით.

თვითშეფასების ჯგუფი, რომელიც შედგებოდა აკადემიური და მოწვეული პერსონალისგან, ფაკულტეტის ადმინისტრაციისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის გუნდის წევრებისაგან, მნიშვნელოვან როლს ასრულებდა შეფასების პროცესში. გარდა ამისა, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელებმა და აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა აღნიშნეს, რომ ფაკულტეტმაა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს მხარდაჭერისა და კონსულტაციის გაწევის მხრივ. შესაბამისად, ზემოაღნიშნული მაგალითები და პრაქტიკები მიუთითებს, რომ პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფა ეფუძნება „დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, იმოქმედე" (PDCA) ციკლის პრინციპებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- შიდა ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის შეფასების შედეგები;
- თვითშეფასების ანგარიშის მომზადების პროცესში გამოვლენილი გამოწვევების აღმოსაფხვრელად განხორციელებული აქტივობები და ცვლილებები.
- გამოკითხვის შედეგები;
- გასაუბრება ვიზიტის დროს.

რეკომენდაციები: **არ ეხება**

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

5.1.1 ვინაიდან საბაკალავრო პროგრამა წარმოადგენს ერთობლივ ძალისხმევას, სასურველია, რომ რენის უნივერსიტეტის წარმომადგენლები იყვნენ ერთიანი და დამტკიცებული თვითშეფასების გუნდის განუყოფელი წევრები.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.1. შიდა ხარისხის შეფასება	X	☐	☐	☐

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

კავკასიის უნივერსიტეტის (CU) ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა ხაზს უსვამს გარე შეფასების მნიშვნელობას PDCA ციკლში. ადგილზე ვიზიტისა და დოკუმენტების ანალიზის შედეგად გაირკვა, რომ საგანმანათლებლო პროგრამისთვის ორი გარე შეფასება განხორციელდა.

პირველი შეფასება ჩატარდა ვერონიკ ფლამბარის, ლილის კათოლიკური უნივერსიტეტის ეკონომიკის პროფესორის მიერ. მეორე შეფასება შეასრულა ედგარ მეიერმა, ბირმინგემის უნივერსიტეტის (დიდი ბრიტანეთი) ბიზნესის სკოლის დეკანმა. თუმცა, ორივე შეფასება უფრო მხარდაჭერის წერილების ფორმას ატარებდა, ვიდრე სრულფასოვანი გარე შეფასებისა. ეს შესაძლოა დაკავშირებული იყოს CU-ში კონკრეტული ფორმატის არქონასთან, რომლის ფარგლებშიც გარე შემფასებლები განახორციელებნდენ კოლეგიალურ შეფასებას. მსგავსი ფორმატი დაეხმარებოდა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, მიეღოთ უფრო ღირებული უკუკავშირი და საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველეყოთ ხარისხის თანმიმდევრული გაუმჯობესება.

ასევე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ წინა აკრედიტაციის პროცესში ფორმალური რეკომენდაციები არ დაფიქსირებულა; გაცემული იყო მხოლოდ რჩევები, რომელთა გათვალისწინებაც CU-მა სრულად უზრუნველყო, რაც დადასტურდა პროგრამის დანართებითა და ადგილზე ვიზიტით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- გარე შეფასების შედეგები;
- განმავითარებელი კოლეგიალური შეფასება
- თვითშეფასების ანგარიში;
- ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრები

რეკომენდაციები: **არ ეხება**

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- 5.2.1 სასურველია, კავკასიის უნივერსიტეტმა შეიმუშაოს გარე კოლეგიალური შეფასების კონკრეტული შაბლონი თანმიმდევრული და შესადარებელი გარე ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.2. გარე ხარისხის შეფასება	X	☐	☐	☐

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კავკასიის უნივერსიტეტი (CU) იყენებს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგისა და პერიოდული შეფასებისათვის. აღნიშნული შეფასებების შედეგები გამოიყენება პროგრამების გაუმჯობესებისთვის. პროცესში მონაწილეობენ აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალი; სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები და გარე კოლეგიალური შეფასების პროცესში ჩართული ექსპერტები. მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის პროცესი სისტემატურია და ეფუძნება სოციალური მეცნიერებების კვლევითი მეთოდოლოგიისა და მონაცემთა აგრეგაციის პრაქტიკების ნაზავს. აღნიშნული მიდგომა იძლევა დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავების საშუალებას.

CU-ის შიდა რეგულაციები განსაზღვრავს თვითშეფასების პროცესს აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისათვის. აღნიშნული პროცესი ხორციელდება, მოწმდება და ფასდება შესაბამისი სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ, რაც ასახავს უნივერსიტეტის ერთგულებას შიდა ხარისხის კონტროლის მიმართ. საგანმანათლებლო პროგრამები პერიოდულად ფასდება, ხოლო სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების კმაყოფილება მოწმდება ონლაინ გამოკითხვებისა და ფოკუს ჯგუფების მეშვეობით. სტუდენტები ასევე აფასებენ კონკრეტულ კურსებს თითოეული კურსის დასრულებისას, რაც დადასტურდა სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუებით ადგილზე ვიზიტის დროს. გარდა ამისა, საბაკალავრო პროგრამა შედარებულია უცხოურ უნივერსიტეტებში არსებულ მსგავს პროგრამებთან (ბენჩმარკინგი), რაც ხაზს უსვამს უნივერსიტეტის ერთგულებას საუკეთესო გლობალური პრაქტიკების მიმართ.

შესაბამისად, პროგრამა ფასდება CU-ის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების მიხედვით, მონაცემთა შეგროვების, ანალიზის, ინტერპრეტაციისა და რეკომენდაციების ფორმირების ეფექტურობის კუთხით და, საჭიროებისამებრ, მოდიფიცირდება და უმჯობესდება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- უსდ-ს მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგები;
- პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების შედეგები და დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს ამ შედეგების გამოყენებას.

- ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრები

რეკომენდაციები: **არ ეხება**

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის **არ ეხება**

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	**X**	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	X
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

თანდართული დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: კავკასიის უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური: ბიზნესის ადმინისტრირების ერთობლივი საბაკალავრო პროგრამა (რენის ბიზნესის სკოლასთან ერთად, საფრანგეთი)

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

შეფასება სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	☐	x	☐	☐
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	x	☐	☐	☐
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	x	☐	☐	☐
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	x	☐	☐	☐
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	x	☐	☐	☐